

„მე უნე მიყვარდი, უნე მნაობდი, უნე გემსახურებოდი, როგორც უმეკლო“...

# ნიკოლაჟის გზით




ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №8 (297) 27 აპრილში 2020 წელი; ფასი 1 ლ.

## ბრძოლა ხელისუფლებისათვის თუ ქვეყნის კეთილდღეობისათვის?



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: უმბიკლიათ გვერი ილაპარაკოთ პროგრამაზე, კონცეფციაზე, მაგრამ არ მსროლოთ ერთმანეთს ტალახი!

მე-2-გვ.



## პარლამენტის მემორიალი დაუბათობის კანდიდატის, ირაკლი ხახუბიას შესუდრები მოსახლეობასთან

მე-3-გვ

## საქართველოს მთავრობის პროექტი სახელმწიფო - უნი პარტნიორი

მე-3-გვ

**მენარმა ან ფარმარი**

სახელმწიფო პროგრამაზე ვადომას უკვე 1 სივრცეში 1 ფანარის კონსიპიტი მიიღა

81 საზოგადოებრივი მენარმა შა 24 იუნიტიის სახლი

PROGRAMS.GOV.GE

## „სოხნობა“- 2020 ვისთვის რაკს ზარი? ვინც წარსულს ივიწყებს, მას არ ეკუთვნის ეს ქვეყანა.

მე-2-გვ



## აკაკის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო

მე-3-გვ



## პატარა ქალაქის დიდი მემულიშვილები მისა მესკურიას გაც მენება

მე-7-გვ

## ანერ ფილარი - ქალაქის დიდი მოაგაე მთავროგვლობამ ამაგი დაუფასა

მე-7-გვ



## სანავსადგურო მემემელობის თვალსაჩინო წარმომადგემლის, კარგი ფოთელის, დიდი მემულიშვილის ვალერი გეგიის გაც მენება



## საერთაშორისო ჯილდო „ოქროს ვარსკვლავი“ - ფოთის ნავსადგურს

მე-4-გვ



## სახელმწიფო ფოთელაგი-საზღვარგარეთ როგორ გაცადა ზაურ ანთიამ ირლანდიური კრივი მსოფლიოში მერთ-მერთი საუკემესო

მე-4-გვ

## იაკობის მიერ იღუმელი კიხის ხილვა (სიცრუის გზით მიღებული კურთხევა)

მე-6-გვ



## სამეიმარი რევაზ (როზი) ხარჩილავას გარდასვალეების გემო



„ვაჯინის“ სამრო-სამეცნიერო აკადემია (ნუგზარ ნადარაია) ღრმა მფუსა რევაზ გამოთქვამს, ცნობილი სამეურნეო ხელმეღვანელის, კარგი ფოთელის რევაზ ხარჩილავას

გარდაცვალეების გემო და სამეიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. მრავალი ათეული წლის განმავლობაში ბატონი როზი წარმატებით ართემვდა თავს დიდ სამეილორაციო სამუშაოებს და ავტორიტეტით სარგებლობდა შრომით კოლექტივში, ქალაქში ქვეყანაში, ამიტომაც დიდხანს დარჩება, ამ დიდებული პიროვნების ნაღდი კოლხი კაცის ხსოვნა ჩვენს გულეში..

## სამეიმარი გიგლა ხახუბიას, მის ბადრი ხახუბის გარდასვალეების გემო



ქალაქის საზოგადოება, კულტურის დარგის მუშაკები, ღრმა მფუსარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა, ცნობილი მხატვარი და მოქანდაკე, ბადრი აპოლონის ქე ხახუბი

და სამეიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მისი ნამუშევრები გამორჩეულად თემატური მრავალფეროვნებით, დიდი ჰეროიკით, ეროვნული სულიკვეთებით, ფოთისა და ფოთელების უსაზღვრო სიყვარულით.

# ბრძოლა ხელისუფლებისათვის თუ ქვეყნის კეთილდღეობისათვის? საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: უმბიკლიათ ბეჭერი ილაპარაკოთ პროგრამაზე, კონცეფციაზე, მაგრამ არ მსროლოთ ერთმანეთს ტალახი!



რამდენად წავიდა ქვეყანა წინ, დემოკრატიის გზაზე, ვისწავლეთ თუ არა არჩევანი. და ვინ იცავს ჩვენს ხმებს, საერთოდ, ვინ ატარებს არჩევნებს, ხალხი, ხელისუფლება თუ გარე ძალები? ეს კითხვები დღესაც აქტუალურია. დემოკრატიის გზით ჯერ არავინ მოსულა ხელისუფლებაში, ეს არის ეიფორულ-რევოლუციური ტალღაზე ქუჩიდან მოსულები. ხალხის გაჭირვებით მანიპულირება დღესაც მთავრი ატრიბუტია, როცა სხვა გზა არაა მოცილო ხელისუფლება. არადა, დემოკრატიული პარადოქსია, ხალხი ძალასა და უფლებას აძლევს ხელისუფლებას, ის კი ორივეს აცლის ხელიდან თავისავე ამომრჩეველს. ასეთი დემოკრატიით დამოუკიდებელი სახელმწიფო ვერ შედგა - დამოუკიდებელი ეკონომიკით, დამოუკიდებელი, თავისუფალი სასამართლო-პროკურატურით. ერთპარტიულობა, გუნდურობა ხომ ამის წინაპირობაა - კორუფცია სახელმწიფო დონეზე, სისტემური დანაშაული და ნეოფაშისტური რეჟიმი. არადა, სსრ კავშირიდან თავის დაღწევის შემდეგ არავინ ელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას. როცა ყველა ხელისუფლება ჩამოსაგდები გახდა. 30-წლიანმა დე-

მოკრატია მოგვცა 300 პარტია და გათითოვებული ქვეყანა. მტრობა, შუღლი, რწმენის განადგურება. თავისუფლება ყველაფრისგა-ზნეობისგან, მორალისგან. კაზინოები, რსტორნები, ნარკობიზნესი, სპორტის სისატიკოთ გამოჩენილი ახალგაზრდობა. ხელისუფლებისათვის ბრძოლა გრძელდება. ჩვენ ვაევიმარჯვებთ - ესაა მთავარი ღოზუნგი პირადი ინტერესებისათვის და პოლიტიკური მტრების დასამარცხებლად. ისევე დაპირებული კეთილდღეობა, მოპარული არჩევანი და შეურაცხყოფილი ამომრჩეველი.

ასეთია, ჩვენი ხალხურ ფესვებს მოწვევითი დემოკრატია, ხან რუსეთის სახელისუფლებო კადრები. ქვეყანა არც ერთ პარტიაზე და არც ერთ პიროვნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. მას სჭირდება ერთიანი სახელმწიფო იდეოლოგია ქრისტიანული რწმენით გამყარებული.

ამასთან, ადამიანებს ნაღვაწი არ უნდა დაუქარგოთ. უმადურობა დიდი უბედურებაა და სხვისთვის ცუდი მაგალითია. ბიძინა ივანიშვილს უნდოდა ჭაობიდან ქვეყნის ამოყვანა, მილიარდებიც მიახარჯა, მაგრამ პარტიული ელიტა არ გამოადგა და ყველა უბედურება ამ ერთ კაცს ბრალდება. ამიტომაც ერთპარტიულობა უნდა დამთავრდეს. არადა არც ახალი ძალები ჩანს, ბანკირების და შაღვას ფანჩატურში დაპოზიციონირებული პარტიების გარდა. ნატო-ევროკავშირის ძახილით ისევე გრძელდება ხალხის მოტყუება. არ ელევინ ამ გაცვეთილ ღოზუნგებს არადა, სხვებსაც შეუძლიათ ამოეფარონ მას. ნაციონალებს პოლიტიკურ ველზე დატოვება „ოცნებას“ ცუდად შემოუბრუნდება. განა ქართველი ხალხის შეურაცხობა არ არის დამნაშავე სააკაშვილის და მისი ბანდის ასეთი პარპაში. ვერ იტყვინ და კვალივაც ხელისუფლება-

ში მოვლიან. სანამდე გაგრძელდება კოპაბიტაცია? არადა, დემოკრატია, ხალხის დემოკრატია ხელისუფლების წყაროა. ეს იყო ჩვენი არჩევანი? უბედურება ისაა, არ არსებობს გადარჩევის მექანიზმი. ნეოფაშისტები ჯვრებით და ხატებით დარბიან, დმურთს იფიცებენ, ვის გაუგია მგლის თავზე სახარების კითხვა. ნუთუ ასე ბნელა? ნუთუ ასე მოკლეა ჩვენი პოლიტიკური მეხსიერება. თუ ვეროპის სახე სააკაშვილ-ბოკერიაა, მაშინ დაქცეულია ქვეყანა. ქართველი კაცი ვეროპამდე იყო ევროპელი. თავისი კულტურით, რწმენითა და ხასიათით და არ ჭირდება ამდენი შეგონება. პუტინ-ლუკაშენკოს დასცილიან, ამ დროს თვითონაც არ ეშვებიან ხელისუფლებას. ვინმეს სჯერა, რომ სააკაშვილ-ბოკერია, უგულავა-ოქრუაშვილი ქვეყნის კეთილდღეობისათვის იკლავენ თავს. მაშინ ჩამოვთვალთ რა დღე ავირეს ქვეყანას. ესაა გაუგონარი ბოროტების ნაირსახეობა. ქვეყანა მხოლოდ საარჩევნო კამპანია არ არის, დაიდალა ხალხი ერთ წრეზე სიარულით. სად სამშობლო, ფული და სკამი? საკმარისია ქვეყნის ძარცვა, თუ ნატოში შესვლა დემოკრატიის ხარისხზე დამოკიდებული, კიდევ 30 წელი დაგვჭირდება ალბათ. საქართველოში არაა სახელმწიფოებრიობის ერთიანი სივრცე. პარტიებად დაყოფილი ქვეყანა უცხო ქვეყნის ინტერესებით გაჯერებული, როცა არა გაქვს საკუთარი ეკონომიკა და სხვის პროდუქციას ხარ დამოკიდებული. შესაბამისად, განათლებაც და კულტურაც ეროვნულ ფესვებს მოწვევითია. ჩვენი დემოკრატიული მედია, გამონაკლისის გარდა გადაგვარების გზაზეა. დამკვეთის დაგვლებებს ასრულებს, თითქოს არ იყო საზოგადოებრივი ცხოვრება, ადამიანური ურთიერთობები, თითქოს მხოლოდ ხალხის პრობლემები აწუხებთ. რაც

პოლიტიკურ ჭრილში გადააქვთ. რათა ასიაშოვნონ პარტიულ ლიდერებს. ყველაფერი ხალხის სახელით კეთდება, დემოკრატია, რევოლუციები, ებრძვიან ერთმანეთს, არაქვეყნის კეთილდღეობისათვის, არამედ პირადი უზრუნველყოფისათვის.

მართლაც ურთულესი სიტუაციაა, პანდემიამ კიდევ უფრო გააღრმავა კრიზისი ყველა პარამეტრით. და ეს აისახება არჩევნებზე. ისარგებლებენ მავანნი და მავანნი. ამიტომაც ხალხმა სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს და არ დაუშვას შეცდომა, რომელიც არასოდეს არ გამოსწორდება.

30 წელია ვისმენთ, მარადი პოლიტიკოსების - არჩევნების კაცების, 10 კაციანი პარტიის ლიდერების მოწოდებას და ჭკუის სწავლებას ვინ ავირჩიოთ და ვინ არა. როცა ხელისუფლებაში არიან - ეღუარდიც კარგია, მიშაც და ბიძინაც, თუ არადა, ხალხის მტრები არიან. როდის იქნება საქართველოში პარტია კლასიკური გაგებით, სოციალური საფუძვლით, იდეოლოგიით, პროგრამებით და პროფესიონალიზმით. ახალგაზრდებით, რომელთაც საზღვარგარეთ მიიღეს განათლება. არჩევნები, დემოკრატია, ადამიანთა კეთილდღეობას უნდა უკავშირდებოდეს-ოჯახი, სამსახური, დასვენება, გართობა და ა.შ.

ყველა პარტიის არჩევა მეტნაკლებად ასატანია, მაგრამ რეჟიმის შემოქმედების-არამც და არა. ეს იქნება დემოკრატიის საბოლოო დასამარება. სამშობლო უნდა გაიწმინდოს შინაური მტრებისგან. ხალხი „ოცნებას“ არ აპატიებს დამნაშავეთა მორბუნებას, ხალხი, რომელიც ბიბლიური რწმენით ცხოვრობს, უკეთეს ხელისუფლებას იმსახურებს. ნუ შეიყვანთ დემოკრატიას ჩიხში.

ზ. აბრალაშვილი

## „სომეცობა“- 2020 პინც წარსულს იზიფყმებს, მას არ ეკუთვნის ეს ქვეყანა. ვისთვის რაჟს ზარი? პინც წარსულს იზიფყმებს, მას არ ეკუთვნის ეს ქვეყანა.



პირველი „სომეცობა“ სოფელი - 1977 წელი

ქვეყნის წარსული ის ბალავარია, რომელსაც ეყრდნობა მომავლის ნაგებობა. ერის იტორია ის დედაბოძია, რომელიც სახელმწიფოებრიობას ამბარებს. ბევრი რამ არის პატივმისაგები ჩვენი დიდებული წარსულიდან, რამაც უნდა მოგვცეს წინააღმდეგობათა დაძლევის ნიჭი. ერთი ასეთი მოვლენა გახლავთ საეკლესიო დღესასწაული „ცოტნეობა“.

ხობის უძველესი მონასტრის ეზოში განისვენებს, შერგილ და ცოტნე დადიანების ოჯახის წევრები. აქვე იყო მათი ფრესკა, რომელიც მავანმა წაშალა. წმინდანის სახელზე წირვა-ლოცვა აღევლინება 12 აგვისტოს. აქ მოდიან ხობელები, სტუმრები სხვადასხვა რაიონებიდან და იმართება საერო-საეკლესიო დღესასწაული, თეატრალიზებული წარმოდგენებით, კონცერტებით, გამოფენებით.

პირველი „ცოტნეობა“ განსაკუთრებითაა აღბეჭდილი ხობელთა

მეხსიერებაში, ძველი ფოტოები საზოგადოებრივ ინახავენ ისტორიულ მომენტებს. ამ ფოტოზეც პირველი ცოტნეობის დღესასწაულის მონაწილეთა ერთი ჯგუფია გამოსახული. იმ დროს ხობის რაიონს **ნუზხარ ნალარია** ხელმძღვანელობდა. სრულიად ახალგაზრდა კაცმა, მოკლე დროში შეძლო ამ დიდი რაიონის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების გარდაქმნა, რაც ცალკე სუბრის თემაა. ფოტოში, მისი მერად მოღვაწეობისას სამეგრელოს მოედანზე დაიდგა ცოტნე დადიანის ძეგლი, იმდენი წინააღმდეგობები იყო, თითქოს ყაენის ძეგლი დაედგას. თუმცა, დრო ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

დგას ფოტის შუაგულში, სამეგრელოს მოედანზე ცოტნე დადიანის ძეგლი, რომლის ვაჟკაცობა მტერმაც დააფასა. ჩვენ კი დროდარდრო თუ გავიხსენებთ. ნამდვილი ცოტნეობელები 12 აგვისტოს გვირგვინ

ნით ამკობენ ამ დიდ მონუმენტს. საუკუნე საუკუნეს მისდევს, ზნეობრივი გმირობის მაგალითი თაობებს დარჩება დიდ ორიენტირად ამ უკიდევანო სამყაროში

აღსანიშნავია, ისიც რომ ფაზისი სამეცნიერო აკადემიის ინიციატივით (პრეზიდენტი ნუზხარ ნადარია) წმინდანად შერაცხეს დავით

თან, ამ დღეს თბილისიდან ჩამოვიდნენ „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ნუზხარ ნადარია, აკადემიის ვიცე პრეზიდენტი ალექო დოღბაია, ცნობილი ქირურგი გოგი მელიქია, კასპელი საქრო გვრიტიშვილი. სამახსოვრო სურათები გადავიღეთ ძეგლთან, შემდეგ ტაძარში, ცოტნეს ხატთან.



აღმაშენებლის გამზრდელი გიორგი ჭყონდიდელი და ზნეობრივი გმირი ცოტნე დადიანი.

სამწუხაროდ, ადამიანები ხშირად ივიწყებენ წარსულს, მაგრამ მონატრება იცის სისხლის ყივილი. რა დიდებულთა, როცა ამის საბაბი დიდი დღესასწაულია - 12 აგვისტო-ცოტნეობა დასავლეთში და დიდგორობა - აღმოსავლეთში. დრო ერთგვარი ბარომეტრია საზოგადოების ისტორიული მეხსიერებისა - „არ დავიწყებთ მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა“.

ისევე შევიკრიბეთ ცოტნეს ძეგლ-

როცა ქვეყანაში დაპირისპირების გათითოვების პროცესები გრძელდება და ეროვნული სულისკვეთება სულს დაფავს. სამშობლოსთვის თავდადება თითქმის მივიწყებულია, ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობა ერთგვარად ავსებს ამ ვაკუუმს, ესაა სულთა კავშირის მემკვიდრეობა, გმირობის მარადიული ფენომენი, რამეთუ ცოტნემ, თავისი ქვეყნის სათქმელი თქვა-სამშობლო, უპირველეს ყოვლისა. დგას ძეგლი სულთა კავშირის მარადიული მემკვიდრეობის ნიშანსვეტად და ცისკენ ექაჩება ლეგა არწივი.

პარლამენტის მუშაობის დასრულების კანდიდატის, ირაკლი ხახუბიას შესწავლა მოსახლეობასთან



ირაკლი ხახუბია ფოთში, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს შეეხვდა.

მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფა ჩვენი გუნდისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ დონეზე. ამ მიმართულებით, ფოთში ბოლო 4 წლის განმავლობაში კონკრეტული ნაბიჯები გადავდგით. განხორციელდა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა, ქალაქს გადაეცა ახალი რეანომობილი, განახლდა სასწრაფო დახმარების მანქანები, გაიხსნა სამშობიარო სახლი.

შეხვედრის მიმდინარეობისას დისტანციურ რეჟიმში ექიმი ლევან რამიანი ჩაგვეერთო, რომელსაც მადლობა გადავუხადეთ იმ თავდაუზოგავი შრომისთვის, რაც კოლეგებთან ერთად გასწია პანდემიის პერიოდში. გვამაყვება, რომ ჩვენს რეგიონს ჰყავს

ღირსეული წარმომადგენელი, რომელიც პროფესიონალურად უძღვება თავის საქმიანობას. ჩემთვის დიდი პატივი და სტიმულია, ბატონი ლევანის მიერ გამოხატული მხარდაჭერა და მადლობა მას ამისთვის.

მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ჩვენს ექიმებს. რომ არა მათი მუხსნაწარმოებელი შრომა სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, დღეს რთული ეპიდემიოლოგიური ვითარება გვექნებოდა ჩვენს ქალაქსა და ქვეყანაში.

საინტერესოდ ჩაიარა შეხვედრამ კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან.

ჩემი მაჟორიტარობის პერიოდში კულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით ფოთში არაერთი პროექტი დავიწყეთ. მინდა გამოვყო, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენის საკითხი, რაშიც უდიდესი დახმარება გაგვიწია ფონდმა „ქართუმ“.

უმნიშვნელოვანესი იყო ნიკოლაძის კოშკის რეაბილიტაცია, ამჟამად, მიმდინარეობს თამარ მეფის ქუჩაზე მხატვართა სახლისა და ადმაშენებლის ქუჩაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ფონდ „ქართუს“, ფინანსური მხარდაჭერისათვის.

ქალაქი ფოთი 10 აპრილს მიიღებს

ფოთში შიდა საქალაქო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ფოთის მუნიციპალიტეტისა და შპს „ფოთიქალაქტრანსპორტის“ წარმომადგენლებთან საკონსულტაციო შეხვედრა შედგა.

კომპანია „ჯეოჯიპიუს“-ის წარმომადგენლებმა ტრანსპორტის მართვის თანამედროვე სისტემების, მარკეტინგული აქტივობების, შესაბამისი ტექნოლოგიებით აღჭურვისა და მგზავრთა მოზიდვისთვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების დაგეგმვის თაობაზე ისაუბრეს.

შეხვედრას ქალაქ ფოთის მერი **გოჩა კარლალია** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბექა ვაჭარაძე** დაესწრნენ.

საქართველოს ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ინფრასტრუქტურის სამინისტრო ქალაქ ფოთს მალე 10 ახალ ავტობუსს გადმოსცემს.



პროგრამა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

აკაკის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო.



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აკაკისა და წმინდა გიორგის ქუჩების და რეკავას ქუჩის 0,7 კმ. მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს 4 996 931 ლარით აფინანსებს.

აკაკის ქუჩაზე სამუშაოებს კომპანია „გზამშენებელი 13“ ახორციელებს. სამუშაო პროცესს ქალაქის მერი გოჩა კურდღელია და მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია გაეცნენ.

სარეაბილიტაციო სამუშაოები საავტომობილო გზისა და ტროტუარის კაპიტალურ რემონტს ითვალისწინებს.

გინევეთი კოლხეთის ეროვნული პარკი

კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონებს. პარკში განსაკუთრებულად საინტერესოა პალიასტომის ტბა, შავი ზღვის აკვატორია, უნიკალური ჭაობები და კოლხური ტყე.

ეროვნული პარკი კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების მიზნითაა შექმნილი.

კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ტურისტებს პალიასტომის ტბასა და მდ. ფიხორის ხეობაში სანაოსნო ტურებს, ასევე სპორტულ თევზჭერას, ფრინველებზე დაკვირვებას და ეკოსაგანმანათლებლო ტურებს სთავაზობს.

ადგილზე შეგიძლიათ იქირათ ან დაგეგმოთ: კარავი - 10 ლარი; საკონფერენციო დარბაზი (50 ადამიანზე) - 160 ლარი; საპიკნიკე ადგილი - 1 მაგიდა - 15 ლარი; სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის - 10 ლარი;

საკარგე ადგილი ანაკლიაზე (ჭურის უბანი) - 5 ლარი; კაიაკით გასიარება ოქროს ტბაზე - ერთადგილიანი 1 სთ - 10 ლარი; ორადგილიანი 1 სთ - 15 ლარი;

ტური კატერით „პალიასტომი-ფიხორი“ (3 ადამიანზე) - 90 ლარი, ხანგრძლივობა 2 სთ; ტური პონტონით „პალიასტომი-ფიხორი“ (16 ადამიანზე) - 300 ლარი, ხანგრძლივობა 3 სთ სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის - 200 ლარი;



ტური პონტონით „პალიასტომის ტბა“ (16 ადამიანზე) - 160 ლარი, ხანგრძლივობა 1 სთ; სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის - 100 ლარი. კაიაკების ტური „მდ.ფიხორის ხეობა“ გახვლა პონტონით/კაიაკი: 4 ადამიანზე - 350 ლარი, ხანგრძლივობა 4სთ, 8 ადამიანზე - 430 ლარი, ხანგრძლივობა 4 სთ;

ნიშობანი ნავით გასიარება ოქროს ტბაზე ან ანაკლიაზე (ჭურის უბანი): 3 ადამიანზე - 20 ლარი, ხანგრძლივობა 1 სთ.

ჭოგრიტი: 10 ლარი ტური კატერით მდ. ჭურიაზე: 2სთ/1-3 კაცზე - 100 ლარი

პროგრამის მენეჯერი: **ქ. ფოთი, პალთაყვის უბანი, გურიის ქ. 222**

ფოთის საბავშვო ბაღები დასაქმებულთა ხელფასები იზრდება

ახალი სადამსრფელო წლიდან ქალაქ ფოთის საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა ყველა თანამშრომელი გაზრდილ ხელფასს მიიღებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფოთის მერიიდან აცნობს.

მათივე ცნობით, შრომითი ანაზღაურების ზრდა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ხახუბიას ჩართულობით და ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ საბავშვო სახსრების მოზიდვებით ხორციელდება.

„ფოთის ა(ა)იპ სკოლამდელი სადამსრფელო გაერთიანების 382 თანამშრომელი სექტემბრიდან 100 ლარით გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებს. მიმდინარე წელს აიპის სახელფასო ფონდი 160 ათასი ლარით გაიზარდა. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი მიმდინარე წელს 9 სკოლამდელ დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს, რისთვისაც ადგილობრივ ბიუჯეტში 518 ათასი ლარია გათვალისწინებული. სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ქალაქში ორი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობაზე. 9 აპრილის ხეივანში, -5 საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე, ახალი სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობას დასრულდა დანიის საბჭო, ხოლო ბარათაშვილის ქუჩაზე ახალი ბაღის მშენებლობას მუნიციპალური განვითარების ფონდი დააფინანსებს“, - ნათქვამია ინფორმაციაში.



საქართველოს მთავრობის პროექტი სახელმწიფო - შენი პარტნიორი



თუ ხარ ან გინდა გახდე მენარმე ან ფარმერი

სახელმწიფო პროგრამაზე ნვლომას უკვე 1 სივრცეში 1 ფანჯრის პრინციპით მიიღებ

81 საზოგადოებრივი მინიბუსი და 24 იზოტიმის სახლი

PROGRAMS.GOV.GE




მას, ვინც არის ან სურს გახდეს მეწარმე, ფარმერი, ან ჩაერთოს ტურისტულ ბიზნესში, პროექტი შესაძლებლობას აძლევს უკვე 1 სივრცეში 1 ფანჯრის პრინციპით მიიღოს წვდომა და გამარტივებული მომსახურება მეწარმეობის სტიმულირებისა და ფერმერული მეურნეობების განვითარების სახელმწიფო პროგრამების

შესახებ.

საქართველოს მასშტაბით 100-ზე მეტ დასახლებაში განთავსებულ 81 საზოგადოებრივ ცენტრსა და 24 იუსტიციის სახლში მოქალაქეები შეძლებენ ინფორმაციის მიღებასა და განაცხადების შევსებას სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც მიმდინარეობს ან სამომავლოდ განხორციელდება სააგენტოს „წარმოე საქართველოში“, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ. ამისთვის მათ

სპეციალურად გადამზადებული კვალიფიციური სპეციალისტები დაეხმარებიან. ასევე, პროექტის ფარგლებში მოქმედებს გაერთიანებული ელექტრონული პორტალი - <https://programs.gov.ge/>, სადაც მომხმარებელი შეძლებს, დისტანციურად მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მისთვის საჭირო პროგრამის შესახებ და შეავსოს

სამიძიარო ბიზო ხარკილავან გარდასვალუბის გეომ



ქ. ფოთის საინჟინრო ინტელიგენცია, დრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა, სს „მანქანათმშენის“ გენერალური დირექტორი

ბიზო ხარკილავა

და სამიძიარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. ბატონ გიზოს დიდი წვლილი მიუძღვის მანქანათმშენებლობის განვითარების საქმეში - ფოთში დამზადებული მიწისმწოვი დანადგარები რეალიზდებოდა მსოფლიო მასშტაბით. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სანაღვრეანი ფოთლები-საზღვარგარეთ

როგორ გახდა ზაურ ანთია ირლანდიური კრივი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო



სპორტის ბევრმა გულშემატკივარმა, ალბათ, არ იცის, რომ საკრივო ტრადიციებთან და წარმატებებით ცნობილ ირლანდიანს 2003 წლის შემდეგ ქართველი მწვრთნელი, ზაურ ანთია ხელმძღვანელობს. „ის არის ირლანდიური კრივის სერ ალექს ფერტიუსონი. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მან ბევრი რამ შეცვალა ირლანდიური კრივის სასიკეთოდ“,-ყერს ტიტულაციანი ირლანდიელი მოკრივე, კარლ ფრამპტონის მსოფლიოს ჩემპიონი და უმადლეზი რანგის მოკრივე. „ის არის მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელი. ჩემთვის მკრივე მამასავითაა, რომელმაც სპორტშიც და ცხოვრებაშიც ბევრი რამ მასწავლა. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ირლანდიაში კრივის განვითარებაში და ბოლო წლებში მიღწეულ წარმატებებში“-ამბობს ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ხუთგზის და ევროპის ექვსგზის ჩემპიონი კეტი ტელორი.

ზაურ ანთია: 1985 წელს ჯერ კიდევ მოქმედი სპორტსმენი ვიყავი, ექვსჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი. ჩემი მწვრთნელი ტარიელ ვერულაშვილი იყო. მან თავის აღზრდილი მოკრივეებიდან ბევრი დაასაქმა. ფოთში ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპორტული სკოლა გაიხსნა და იქ დავიწყო მუშაობა მწვრთნელად. 1988 წელს, სამწვრთნელი საქმიანობის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ, ქალაქ როსტოვში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩატარდა. იმ წელს ძალიან კარგი სპორტსმენები გვყავდა: ზურაბ სარსანიას, ლაშა გუგუნიას, კობა გომოლაძე და კიდევ ბევრი. მაგრამ ეს სამი განსაკუთრებულად ძლიერი იყო. ლაშა გუგუნიამ ჩემპიონატამდე რვა თვის აღდგენის საჭიროება გამოიწვია და დავიდა და ჩვენ რომ საქართველოდან წავიყვით ჩვენს სპორტსმენებს საბჭოთა პირველობაზე, ის იქიდან ჩამოვიდა. გო-

ცნობილ გარემოებათა გამო ქართველები საზღვარგარეთ მოღვაწეობენ, ვერ დაეინახეთ, ვერ შეეფასეთ მათი დიდი პოტენციალი, ისინი მსოფლიო არენაზე გაეიდნენ. როგორ აკლია ისინი საქართველოს. მათ შორისაა მსოფლიო მასშტაბით აღიარებული მწვრთნელი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონების გამზრდელი კრივი, ბატონი ზაურ ანთია. იგი დღეს წრმატებით მოღვაწეობს ირლანდიაში. მისი ბავშვობა, სიჭაბუკე, პირველი სპორტული წარმატებები, ფოთს უკავშირდება. არასოდეს იფიქრებს მშობლები ქალაქს და იმედს ვიტოვებთ მათე დაბრუნდება სამშობლოში და წარმატებებს მოუტანს საერთაშორისო არენაზე.

გოლაძისა და გუგუნიას დამსახურებით ოქროს მედალი ავიღეთ, სარსანიამ მესამე ადგილი დაიკავა. მაგრამ საბჭოთა კავშირში ასეთი კანონი იყო, თუ ხუთი-ექვსი წელი ავარჯიშებდი სპორტსმენს, რვა თვე არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ მისი შედეგი სხვა ქალაქს თუ ქვეყანას ნათელიყო. მისი გამარჯვება ჩვენ მოგვეწერა და ამ გამარჯვებისთვის მე დამაჯილდოვეს, როგორც საბჭოთა კავშირის პირველობის გამარჯვებულის მწვრთნელი. სამივე მოკრივე საბჭოთა კავშირის ნაკრებში აიყვანეს და მეც მომცეს უფლება მათთან ერთად ვყოფილიყავი. აქედან დავეუხადე საბჭოთა კავშირის მთავარ მწვრთნელს და ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობდი. ამ ბიჭებმა ბევრ წარმატებას მიაღწიეს. სამ-სამჯერ გახდნენ ჩემპიონები. ისინი იყვნენ საქართველოს წამყვანი მოკრივეები. სამწვრთნელი კარიერა ახალი დავაწყობდი მქონდა და ვე ძალიან დიდი წარმატება იყო. სამ წელიწადში არ მიღის ამხელა წარმატება. საბჭოთა კავშირის პრიზიორის გაზრდას მთელი წელი უნდებოდნენ, მაგრამ როგორღაც ასე მოხდა. ეს იყო კრივის „ოქროს ხანა“ საქართველოში.

მერე იყო არჩევნები და ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა ზურაბ უნიას, მე დავინიშნე ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად. ორი წლის შემდეგ, ხელახლა ამირჩიეს, მაგრამ მერე დავინიშნე ამ პოზიციაზე, მაშინ მოვიდა ირლანდიის კრივის ფედერაციიდან მოწვევა, ჩემი საქმიანობის შესაძახება. ეს დიდ გამოწვევად მივიღე. ჩემი აზრით, ეს ბედი იყო. არ მეგონა, თუ ჩემს მოსწავლეებს დატოვებდა და წავიდი. წლების განმავლობაში ვწუხდი იმ სპორტსმენებზე, ვინც საქართველოში დავტოვე. თუმცა, მე საქართველოში ცოტა არ გომიკეთებია, საკმარისი შედეგი მქონდა. ასე რამე, ვერაინ იტყვიან, საქართველოს გული და სული დაკარგო. ჩემი გაზრდილი სპორტსმენებით ბევრჯერ უამაზია საქართველოს. ირლანდიაში რომ ჩავდი, სამ ეტაპიანი ინტერვიუ გავიარე. 17მონაწილე იყო სხვადასხვა ქვეყნიდან

მე ყოველთვის დავდაჯერებელი ვიყავი და იცოდა რაში დევს წარმატება. გაემარჯვა იმ ინტერვიუში.

-თუმცა, იქ მოლოდინს განსხვავებული რეალობა დაგხედრიაო.

-ქვეყანა, რომელიც კრივის ტრადიციით იყო სავსე, ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. კრივი ძალიან დაბალ დონეზე იყო. ინტერვიუზე მათ ჩემი ხედვები და გეგმები გაეცანინა, მესამე ეტაპზე კი ვარჯიში უნდა ჩამეტარებინა. წინ ირლანდიის ნაკრები დამიყენეს, რომ შეეხედე, ვერ დაივიწყებ, რომ ნაკრები შეიძლება იყოს მდგომარეობაში ყოფილიყო, ახლოსაც კი ვერ მივიდოდნენ ჩემს მოსწავლეებთან.

-თან მაშინ ენაც არ იცოდით, არა?

-„ბოლო ლენგვიჯს“ ვიყენებდი მათთან საუბრით. როცა აღმიძინა თავდაჯერებულები ხარ და ხელითა და გულით აკეთებ რამეს, შენი ქარიზმა სხვა ადამიანებზეც გადადის. „ბესტ კოუჩი“ ეს იყო პირველივე შეფასება, რომელიც მათგან მივიღე. მაგრამ რადგან ენა არ ვიცოდი მთავარ მწვრთნელად სხვა დანიშნეს. მე რამდენიმე წელიწადი სტატუსად მქონდა „ყველა ნაკრების მწვრთნელი ტექნიკურ მომზადებაში“. ენის პრობლემა რომ გადავლახე, გავხდი ირლანდიის ყველა ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელი-კოორდინირი, როგორც ნაკრებში, ისე გოგონებში.

-თქვენ „კრივის ფერგელსონს“ გიწოდებენ. ადამიანს, რომელსაც ირლანდიური კრივი რეპრეზენტაციის გამოიყვანა და ერთ-ერთი მოწინავე გახდა.

მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეებს შორის არიან ირლანდიელები. რა დრო დაეჭირდათ სრულიად უცხო გარემოში, ენის არცოდნის ფონზე ამ შედეგის მისაღწევად?

-ეს შედეგი თავდაჯერებულობამ და დიდი ენერჯიამ გამოიწვია. შეუპოვარი უნდა

იყო. მე მარტო არ ვიყავი, გუნდი მყავდა. ირლანდიას არ ქონდა საკმარისი თანხა, რომ სისტემა აგვეწყო. თავიდან ნაკრები კვირაში ერთი დღე უნდა მგავარჯიშებინა. საქართველოში კვირაში 6 დღე ვავარჯიშებდი მოკრივეებს და ამ პირობებში რთული იყო შედეგის მიღწევა და განაცხადე ასე თუ ვავარჯიშებდი მუშაობას, ამით კი არ დავარჯავთ, მეშინია მე თვითონ არ დავიკარგო-მოტივი. და ჯერ 2, შემდეგ 3 დღეზე გადავიდით. თქვენ წარმოიდგინეთ პირველ კვირადღეში, ის სამი დღე, როდესაც ვარჯიშით ვიყავით დაკავებული, საძილე ტომარაში მეძინა. მუშაობა 2003 წელს დაიწყო. მთელი 1 წელი ასეთ პირობებში ვიყავით. 2008-ში იყო ჩინეთის ოლიმპიადა და ირლანდიამ, რომელსაც სამ ოლიმპიადაში შედეგი აღარ ქონია, სამივე მედალი აიღო.

-შვილებიდან რომელიმე თუ გაჰყვა თქვენს გზას?

-უფროსი შვილი, დათო რომ ჩამოვიყვანე, 15 წლის იყო. 9 თვე ვავარჯიშე და ირლანდიის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებში. წარმოიდგინეთ რა დონეზე იყო აქ კრივი. რომ 9 თვის ნავარჯიშევი გახდა ჩემპიონი და პრესაში წერდნენ „დათო ანთიას ტრიუმფალური სვლაო“. დათო დღეს კემბრიჯში სწავლობს საერთაშორისო ურთიერთობებზე. ეს მისი მეორე მაგისტრატურაა. დამთავრებული აქვს კურსები პარვარდსა და ოქსფორდში. დღეს ლონდონში ცხოვრობს და „დილოიტი“ კომპანიაში მუშაობს. მეორე შვილმა გიორგის დუბლინის უნივერსიტეტი დაამთავრა და ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის გენერალური ფორმენია. ქალიშვილი კი სავაჭრო კომპანიაში მუშაობს.

დიდი ირლანდიელი მოკრივე აბილი უოლში ასე აფასებს ზაურ ანთიას: „მე და ზაური ერთად ოლიმპიურ თამაშებზე პირველად ჰკინში მოხვედით. მაშინ როცა ჰკინის ოლიმპიადა დაიწყო. რუსეთი მის სამშობლო საქართველოში შეიჭრა, მისი ოჯახი იქ იმყოფებოდა. ზაური ძალიან ნერვიულობდა, რადგან ოჯახის წევრებს ვერ უკავშირდებოდა. ზუსტად ვიცი მაშინ მან ჩამდგოდა ჯოჯოხეთი გამოიარა, მაგრამ ამის შესახებ ჩვენს მოკრივეებს არაფერი გაუვიდა. ნაკრებმა კი ისტორიაში ყველაზე წარმატებული ოლიმპიადა ჩაატარა.

კვლავც დიდ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს თანაკლასკენს ზაურ ანთიას დიდ სპორტულ ასპარეზზე.

სანავსადგურო მშენებლობის თვალსაზრისით წარმომადგენლის, კარგი ფოთელის, დიდი მამულიშვილის ვალერი გეგვიძის განცხადება საერთაშორისო ჯილდო „ოქროს პარსკვლავი“ ფოთის ნავსადგურს



1996 წელს ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური დაჯილდოვდა მსოფლიოს უმადლეზი ხარისხის ჯილდოთი „ოქროს ვარსკვლავით“, რომელიც მადრიდში, ბიზნესის საერთაშორისო კომიტეტმა გადასცა ფოთის სადგავო სავაჭრო ნავსადგურის უფროს ბატონ ვალერი გეგვიძეს. ნავსადგური აღმასვლის გზაზე იყო, ამის თანახმად, ვრცელი სტანდარტები გააჩნდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ (1996 წელი, 18 ოქტომბერი. ზურაბ აბრალაძე). აქვე გთავაზობთ მის პასუხს რამდენიმე კითხვაზე.

- ბატონო ვალერი, რა კრიტერიუმებით შეფასდა ფოთის ნავსადგურის მოღვაწეობა და რისთვის დაიმსახურა მან, ესოდენ დიდი ჯილდო- ოქროს ვარსკვლავი?

-შეფასების კრიტერიუმებს შორის, უპირველესია პროფესიონალიზმი, ნავსადგურის მართვის, განვითარებისა და რეორგანიზაციის, პროექტირებისა და კვლევა-აღჭურვის სწორი მიმართულება, ინფორმაციული კავშირების დამყარება უცხოეთის ქვეყნებთან, მუშაობა მსოფლიო ბანკთან და ევრობანკთან, კავშირები მეწარმეებთან, ბიზნესმენებთან. ჩანს, ექსპერტები, სპეციალისტები, ეკონომისტები, ფინანსისტები, რომლებიც ფოთში იმყოფებოდნენ აკეთებენ დასკვნას, რომ ჩვენი გზით მივდივართ. გარდაამავალ პერიოდში, ჩვენს დაუკითხავად კვლევამ შეფასება ჩვენს მიერ გავწერა მუშაობას, გვაჯილდოვებენ მსოფლიოში უმადლეზი ჯილდოთი. „ოქროს ვარსკვლავი“. მისი მიზნობა არ არის იოლი. ეს არის ჩვენი ქალაქის, მთელი ჩვენი საზოგადოების ერთობლივი შრომის ნაყოფი. რას მოგვცემს ეს ჯილდო? ინვესტიციებისა და კრედიტების მიღების საშუალებას. ბიზნესმენებთან

ვალერი გეგვიძის მოღვაწეობის დროს ნავსადგური და ქალაქი იყო ერთიანი ინტეგრირებული ორგანიზმი, ქალაქი ემსახურებოდა ნავსადგურს და პირიქით, ნავსადგური მონაწილეობდა მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაში. მაშინ პირტი სპონსორობდა ფოთის „ოქრის“ ფეხბურთელთა გუნდს და საქართველოს ფეხბურთის აკადემია. ფოთი ამართლებდა ამ ტრადიციას. დღეს კი ხედავთ რა დღეშია იგი, ერთ დროს საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამორჩეული გუნდი.

ბატონო ვალერი აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ფოთელების დიდი იმედი იყო განსაკუთრებით ეხმარებოდა ჯანმრთელობა შერყეულებს და სამკურნალოდ საზღვარგარეთ აგზავნიდა. მან ასევე საზღვარგარეთ სასწავლებლად გაავაზუნა 70-ზე მეტი ფოთელი მოსწავლე, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში. კიდევ ბევრი ფაქტი ქონდა ნავსადგურის, ქალაქის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ არ დავსცადებთ თუ არ დაიცავს.

ურთიერთობის გაწინაშე და ახალ კავშირებს. ეს არის საქართველოს, ფოთის კიდევ ერთი დიდი რეალური მსოფლიო არენაზე.

-რას იტყვით ნავსადგურის პრივატიზაციაზე?

რაც შეეხება ნავსადგურის პრივატიზაციას, პრეზიდენტის ბრძანებულებაში პირდაპირ მითითებულია-პიდრეტექნიკური ნაკრებები, სანავიგაციო ქონება სახელმწიფო საკუთრებად რჩება, ხოლო ზედა ნაწილი-საწყოები და სხვა ნაკრებიანი შეიძლება გადაეცეს არენით კერძო ფირმებს. დანახვებია ერთობლივი საწარმოების შექმნა უცხოელებთან, რომლებიც მას რამდენიმე წლით გაუწევენ ექსპლუატაციას. და თუ რამეს ააშენებენ, წლების შემდეგ იგი ნავსადგურის საკუთრებაში გადავიდა. გემების შექმნის შეფასება, ნავმისადგომთან მისი დამოსაწყობი იქნება დირექციის, ხოლო გადმოტვირთვა, დატვირთვა, შენახვა იქნება იმ ფირმების განკარგულებაში, რომლებიც გაუწევენ ექსპლუატაციას, რასაკვირველია, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მისი მუშაობა ამერიკულ ფირმა „სტივენსონი“- ახალი საკონტინერო ტერმინალის მშენებლობისა და განვითარების საკითხებზე. ვაქსის კავშირი გერმანელებთან და ვაშაშაშვიტის სასაწყობო მეურნეობის პროექტს. ეს იქნება მსოფლიო მნიშვნელობის ობიექტი, რომელსაც პირველ ეტაპზე 7 მილიონ 900-ათასი გერმანული მარკა დასჭირდება. აშენდება 2500 კვმ ფართობის დახურული საწყობი, რომელსაც ექნება სათავსო ყველანაირი ტვირთისათვის, რაც კი მსოფლიოში არსებობს.

\*\*\*\*\*

ცნობილი ირლანდიელი მწვრთნელი

პატარა ქალაქის ღილი მამულიშვილები

მისა სესკურიას ბახსენება



ადამიანი ფიქრთა გაღვივებულ... უთქვამთ, დგება ცხოვრებაში ისეთი წუთი, როცა დაუსრულებლად გინდა იფიქრო რაღაცაზე...

თი საფიციარი დის (ხინას) შვილიშვილისათვის და ჩემი ოჯახისათვის დიდი სიამოვნებაა სესკურიების გვარის „თავკაცის“ მისა ბაბუას ცხოვრების ფურცელზე თვალის გადავლება...

ვაბარებდით. განა შეიძლება ამ სიხარულით სავსე დღეების ამოშლა მეხსიერებიდან, განა არსებობდა ნატვრა ისეთი, რომელიც შეიძლებოდა არ აგვესრულებოდა...

ცოლ-შვილს, გოცნი შენი მისა ბიძია.

30.X.1983 წელი

\*\*\*\*

აი, ჩემი ზემოთ ნახსენები განაჩენიც-მეც ამით დავასრულებ. მისი საყვარელი ოჯახის წევრებთან ერთად მშვილად განისვენოს ზეციურ სასუფეველში...

ვისურვებდი ისეთი კაცური-კაცი, შვილი, მეუღლე, მამა, ბაბუა, ძმა, ბიძია, ნათესავ-მოყვარეების მოსიყვარულე, კარგი მეგობარი...

ლელა ქორქია

ბიძია ტუტუ!

გილოცავ 40 წლის შესრულებას, დასწრებლად კიდევ ასეულს შენი ცოლ-შვილით. მენახოს შენი წინსვლა და ახალ-ახალი წარმატებები...

ანერ ფიციარი - ქალაქის ღილი მოაგაგ

უთამოვალობა ამაგი დაუფასა

კეთილი ზნისა და ერთგულების გამოჩენა ქართველ ადამიანში ყოველთვის იწვევდა განსაკუთრებულ პატივისცემას. ამ თვისების მატარებელი ბევრნი იყვნენ თუ ცოტანი...

შაშბუში სამი დიდოსტატია, ოცამდე სპორტის ოსტატი და ასზე მეტი მაღალი კვალიფიციის ოსტატი. ამავე კლუბში გაზრდილთაგან მრავალნი გამოვიდნენ ცნობილი პარტიულ-სახელმწიფო მოღვაწენი...

ლიას, ემზარ კიკიანს, ზაურ არჩაიძის, ჯემალ თოფურიას, ბორის ჯიბუტის, მოგელი ტყეზურას, ალექსანდრე გუბელიძისა, დავითარა ჭითანავას...



საფლავი, ასე მშობლების საფლავებს თუ უფლიან. მაღლობთ ბიჭებო!!!

თქვენს ქმედებაში მე სწორედ გამოჩენილი ფოთური სული და მგზნებარება დავინახე, რასაც უხვად გვირეგებდა და გვინერგავდა მოწაფეებს ჩვენი „ღიაღია-აგა“...

თაობიდან თაობას გადაეცემა ის კეთილი გავლენა, რაც აღსასრდელებზე გასწიეს ქალაქის წარმოჩენილმა ადამიანებმა ალექსანდრე მოწერილიამ, მიხეილ მეღიქიამ...

ქალაქის დღევანდელ თაობასაც უნდა მიეცეს შესაძლებლობა ძველი კარგი ტრადიციები კვლავ გაგრძელდეს ახალი შესაფერისი სპორტული ბაზა ამის შესაძლებლობას გააჩნეს.

ჭადრაკი და შაში ხომ ბრძენთა თამაშია. ქართველებს კი სიბრძნე ძველთაგან მოგვსდგამს. კარგი არ უნდა გადაშენდეს.

ომარ ხუხუნიძე

ერთმა ჩვენმა მეგობარმა თემურ თურქიამ, მოსწრებულად იხუმრა კიდევ: „წავიყვანათ ფეიქრის ნახსადგურში და იქ გემები საყვირების გუგუნით მიესალმებიან“.

არადა, ავანტურა თავისი ნაღვაწით ნამდვილად იმსახურებდა განსაკუთრებულ პატივისცემას.

ძნელია იპოვო მეორე მწვრთნელი სპორტის ნებისმიერ სახეში, რომელსაც ამდენი „ტიტულოვანი“ ხალხი აღეზარდოს-სპორტშიც და სამსახურებრივ საქმიანობაში წარმატებულად. სამი ათეული წლის განმავლობაში ფოთელი მოშაშეები საქართველოში ყველა თანრიგში პირველობას არავის უთმობდნენ.

ა. ფეიქრის მიერ აღზრდილ მო-

არ დაკარგვია. მისი სახელი ქალაქს ახსოვს და დღესაც თბილად იხსენებენ ისინიც კი ვისაც მასთან და კლუბთან არანაირი საქმი არ ჰქონია.

ჩენი ქვეყნის ერთ-ერთმა პრესტიჟულმა ჟურნალმა გასული წლის სექტემბერში ა. ფეიქრის ხსოვნას ვრცელი წერილი მიუძღვნა. წერილს დართული აქვს ა. ფეიქრის, გ. ბოტონიის, ბ. გურგენიძის და ფოთელი მოჭადრაკეების სურათები. წერილის ავტორია ფოთელი ჟურნალისტი ა. ფეიქრის აღზრდილი მოშაშე ნინელი მელქაძე. იხსენებს რა იმდროინდელ კლუბში არსებულ სულისკვეთებას და ატმოსფეროს, რომელიც რა თქმა უნდა უშუალოდ ა. ფეიქრის დაუოკებელი ენერჯის ხარჯის ფასად იყო შექმნილი...

ფოთის საზღვაო მუზეუმი ბურისბანს მოიზიდავს

კი ყველანი თანხმდებიან - შავ ზღვასთან მდინარე რიონის შესართავი ადგილი გეოფიზიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობით შორეულ წარსულშიც შესანიშნავი ადგილი იქნებოდა ზღვაოსნობისთვის, მრავალი ანტიკური პერიოდის ავტორი თავიანთ ნაწარმოებში კოლხებს მოიხსენიებს უპირველეს კარტოგრაფად და კოლხეთს ოქრომრავალ ქვეყანად. ჩვენ გავეცანით გახეთში

„ნიკოლაოს გზით“ საინიციატივო ჯგუფის სახელით გამოქვეყნებულ ჟუმბერ კემულარიას ინფორმაციას ფოთის საზღვაო მუზეუმის ზონაში საზღვაო მუზეუმის საპროექტო წინადადების მომზადების გეგმის შესახებ 2020 წლის ბოლომდე. ჩვენი მხრიდან ავლნიშნავთ, რომ ზემოთ აღნიშნული საპროექტო წინადადების რეალიზაციით ფოთის საზღვაო მუზეუმი შეიძლება გახდეს ადგილობრივი და

უცხოელი ტურისტებისთვის მიზიდულობის ერთ-ერთი ცენტრი. იმედია, ქალაქის ხელმძღვანელობა მხარს დაუჭერს ამ იდეის განხორციელებას.

ფოთის საპატიო მოქალაქეები: ნაპო თორდია ნუგზარ ნაჭყვიაძე დარეჯან გეფერიძე ვანო ნარმანიძე ჯურაბ აბრალაძე



ფოთის (უძველესი სახელდებით ფოთისა და ფაზისის) ისტორია დღემდე მეცნიერთა კვლევის საგანია. ერთ რამეში





სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი...

ერთა ლიგა 2020 | ვლადიმირ ვაისმა  
ეროვნული ნაკრების შემაღმენლობა დაასახელა



3 სექტემბერს ევროპის სტადიონებზე უეფას ერთა ლიგის მეორე გათამაშება იწყება. საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ლიგაში წარმატებული ასპარეზობის შემდეგ ჩ ლიგაში აღზევდა და მატჩებს მიმდინარე წლის 5 სექტემბრიდან 18 ნოემბრის ჩათვლით გამართავს.

ერთა ლიგის სადებიუტო ორი მატჩისთვის საქართველოს ნაკრები 31 აგვისტოს დაიწყო მზადებას. ვლადიმერ ვაისმა ესტონეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან დაგეგმილი მატჩებისთვის 27 ფეხბურთელი გამოიძახა.

ეროვნული ნაკრების შემაღმენლობაში ორი დებიუტანტია - საფეხბურთო კლუბ "დინამო" თბილისის 20 წლის ნახევარმცველი გიორგი კუცია და თბილისის "საბურთალოს" მცველი ნიკა მალი.

ერთა ლიგის ახალი გათამაშების აღნიშნულ ორ შეხვედრას, ამერიკის საფეხბურთო ლიგის სან ხოსე ერთეულის ქართველი ლეგიონერები გურამ კაშია და ვაკო ყაზაიშვილი გამოტოვებენ. მიზეზი პანდემიის გამო დაწესებული საზღვარო და საკარანტინო რეგულაციებია. კლუბთან შეთანხმების შედეგად გადაწყდა, რომ ორივე ფეხბურთელი ოქტომბერში დაგეგმილ პლეი-ოფის პრინციპულ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.

31 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოს ეროვნული ნაკრები ს.კ. ზესტაფონის თბილისის ზღვის საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშებს. 4 სექტემბერს ჩვენი გუნდი ტალინში გაემგზავრება. ერთა ლიგის ახალი გათამაშების პირველი შეხვედრა ესტონეთსა და საქართველოს შორის 5 სექტემბერს თბილისის დროით 20:00 საათზე დაიწყება. ერთა ლიგის მეორე შეხვედრა საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიას შორის, 8 სექტემბერს 20:00 საათზე შედგება.

საქართველოს ნაკრების შემაღმენლობა

მეკარეები: გიორგი ლორია

(ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (ვიტორია, სეტუბალი, პორტუგალია), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო, თბილისი)

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), დავით ხოჭოლავა (შახტარი, დონეცკი, უკრაინა), გიორგი ბერიძე (არსენალი, ტულა, რუსეთი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი), სოლომონ კვეციკელია (როტორი, ვოლგოგრადი, რუსეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), ნიკა მალი (საბურთალო, თბილისი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო, ბათუმი)

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა (ტობოლი, ყაზახეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), გიორგი ნაკვეტაძე (გენტი, ბელგია), გიორგი აბურჯანია (ტვენტე, პოლანდია), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონიასპორი, თურქეთი), ნიკა კვეციკელი (ტობოლი, ყაზახეთი), საბა ლობჟანიძე (ანკარაგუჯუ, თურქეთი), ხვინა კვარაცხელია (რუბინი, ყაზანი, რუსეთი), ზურაბ დავითაშვილი (როტორი, ვოლგოგრადი, რუსეთი), გიორგი კუცია (დინამო, თბილისი), ჯაბა ჯიდაური (დინამო, ბათუმი)

თავდამსხმელები: გიორგი ქვიციანი (გენტი, ბელგია), თორნიკე

ოქრიაშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ნიკა კაკაბაძე (ანორთოსისი, კვიპროსი)

უახლოესი ორი მატჩისთვის, ცნობილია დამატებით ცხრა ფეხბურთელის ვინაობა:

როინ კვასხვაძე (დინამო, თბილისი), დავით კობოური (დინამო, თბილისი), ლაშა პარუნაშვილი (ესპიერგი, დანია), გიორგი მერებაშვილი (ვისლა, პლოცკი, პოლონეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ზლინი, ჩეხეთი), ბუღუ ზივზივაძე (ფეკერვარი, უნგრეთი), ლევან კუტალია (პაპოელო, თელ-ავივი, ისრაელი), ელგუჯა ლობჯანიძე (კაისარი, ყაზახეთი), ბახანა არაბული (პანიონისი, საბერძნეთი).

უეფას გადაწყვეტილებით, სექტემბერში დაგეგმილი ყველა სანაკრებო მატჩი მაყურებლის გარეშე ჩატარდება. ეროვნული ნაკრების მონაწილეობით შეხვედრების რეპორტაჟს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოვთავაზებთ.

საქმიანი მონაბრუნა  
ბადრი ბასილია: მე მართლაც კარგი დები მყავდა



ეთერი-90



აღლინა-85



მზიური-80

დღეს-27 აგვისტოს შენი დაბადების დღეა. გილოცავთ!



ნაზო-60

ადამიანები უკვდავები არა ვართ, ამიტომაც ბედს უნდა შევეუბნოდეთ, მაგრამ ვიდრე ცოცხლები ვართ, იმათ ხსოვნას უნდა მივივადოთ პატივი, ვინც ჩვენს ხსოვნას აღამაზებდა, ჩვენზე ზრუნავდა, სიცოცხლეს გვიხალისებდა.

საოცარი წლები იყო, სიყვარულით გამთბარი, მე - ერთადერთ ძმას ჩემი დები ყოველმხრივ მანებობდნენ და მაშინდელ ჩვენს პატარა სახლს არ აკლდა დიდი სტუმრობა. ჩემს

მეგობრებს პატარა საბაბიც ყოფნიდათ, ისე მოუხაროდათ, რამეთუ კარგი მასპინძლობა და გულდია დახვედრა ელოდათ, დღეს რომ ასე ძალიან გვენატრება. რა ბედნიერება იყო, მშობლები, შვილები ერთ ბუდეში ვიყავით. მერე, ჩემი დები დაფრთიანდნენ, ოჯახები შექმნეს, მაგრამ მე არ მივიწყებდნენ, ყოველმხრივ მეხმარებოდნენ, მე კი მხოლოდ სიყვარულის დაბრუნება შეგეძლო. ისინი ჩემთან არიან დღესაც, მათ ყოველ

დაბადების დღეს ავღნიშნავ, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად. ბიბლია გვამცნობს, „სამშობლო იწყება, არა მაშინ, როდესაც ადამიანი იბადება, არამედ, როცა კვდება. სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება“. ამიტომაც სჯობს სიკვდილის დღე დაბადების დღეს. ისინი ვალმოსხილი წავიდნენ ამქვეყნიდან, არავის ვალი არ მიჰყვებათ, პირიქით, ჩვენ გვაქვს მათი ვალი და ვცდილობ ხსოვნით გადავუხედო, სხვა გზა

არ არის. სიცოცხლე კაცად ყოფნის სვედა ყოფილა, მე ისევე თქვენს ძველ სახლს ვპატრონობ, მუზეუმად ვაქციე-ცხოვრების დიდ მუზეუმად. სადაც ყოველ დღე მოწიწებით თავს გიკრავთ და ვეფერები კედლიდან მაცქერად სურათებს. სხვა რა დამრჩენია, ჭიქა დვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები.

მსატრეული ხეივანე, ახალი დიზაინი



თუ ვინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე სედი, ინტერიერი გააღამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს. თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-



დიზაინერი რევაზ ჭანჭავაძე.  
ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)

მელა და ვანო ნარკანიანი დიდი გულიანობით თანაუგრძობენ იულია და ბადრი თირაქიძეს, სოფო და ლალო თირაქიძეს ღვაწლმოსილი მოსიყვარულე, სულით და გუნებით ლაპაზი, დიდი ოჯახის დიდი ქალბატონი

ლილია ანაბოლის ასული გავუნიას  
გარდაცვალების გამო

განცხადება:  
იყვანა ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაუზიანებული ეს ოთი.მის:ნიარუსალიმის №4 ტელ: 551 499 555